პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №_ _**

2021 წლის_ _ ნოემბერი

ქ. წყალტუბო

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2020 წლისა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2020 წლისა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ანგარიში 2020 წლისა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2020 წლისა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი — გელა თათარაშვილი
შეთანხმებულია:
ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე — მურმან შალამბერიძე

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის
სამხედრო აღრიცხვის,გაწვევისა და
მობილიზაციის სამსახური





წერილის ნომერი: **09-482131531**
თარიღი: **11/11/2021**
პინი: **4060**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**


წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ პაატა ახალაძეს

ბატონო პაატა,

წარმოგიდგენთ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2020-2021 წლების გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს.

დანართი: 3 ფურცელი.

გიორგი ჩაკვეტაძე

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის
სამსახური-სამსახურის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი


საქართველო, ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ N25 ( ( +995) 595 95 90 72
ელ. ფოსტა: tskaltubo1@gmail.com

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის

სამსახურის 2020 წლისა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის

შესახებ ანგარიში

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური არსებული კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებას, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის მობილიზაციისა და სამხედრო ძალების რეზერვთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას.

მოგახსენებთ, რომ 2020 წლის განმავლობაში პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილ იქნა სხვადასხვა წელს დაბადებული 323 მოქალაქე, გამწვევ კომიასიაზე გამოძახებული 1144 წვევამდელიდან, საქართველოს შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში ჩაყვანილ იქნა 173 წვევამდელი, მათგან საქართველოს სამხედრო ძალებში გაწვეულ იქნა - 49, დამატებით სამედიცინო გამოკვლევაზე გაგზავნილ იქნა-7, სამხედრო სამსახურისთვის შეზღუდულად ვარგისად იქნა ცნობილი-121, უვარგისად სამხედრო სამსახურისთვის-8, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გაწვევა გადაუვადდა - 16 წვევამდელს.

გამწვევი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, შეღავათი გაუფორმდა: 218 მღვდელმსახურს, 280 - სტუდენტს, 77 - მოსწავლეს, 41 -დედისერთას, 27 - ერთშვილიანს, 13 - ორშვილიანს, 3 -ოჯახური მდგომარეობის გამო, 77- ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გამოცხადებამდე.

პერიოდულად მიმდინარეობდა, პერსონალური უწყებების დარიგება ქალაქის ტერიტორიაზე და მუნიციპალიტეტის სოფლებში, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევ წვევამდელთა პირადი საქმეებისა და დოკუმენტების მომზადება, რეზერვში ჩასარიცხ მოქალაქეთა ბრძანების პროექტის მომზადება და რეზერვში ჩარიცხვა.

მოხსნილია სამხედრო აღრიცხვიდან საქართველოს სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით 75 გარდაცვლილი მოქალაქე, ასევე მოხსნილია და გადაყვანილია სამხედრო სპეც-აღრიცხვაზე-17, ხოლო საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის შეცვლასთან დაკავშირებით აყვანილია აღრიცხვაზე-27 მოქალაქე; სასამართლოებიდან შემოსული 78 განაჩენის ასლის შესახებ შესრულდა შესაბამისი ღონისძიებები, გაიცა რეზერვისტის დროებითი სამხედრო მოწმობა 57 რეზერვისტზე.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა G-1 სამმართველოდან მიღებულია 10 პირადი საქმე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე რეზერვში გადაირიცხა ზღვრული ასაკის (27 წლის) შესრულების გამო 180 მოქალაქე, ხოლო სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ 77 მოქალაქე

388

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წვრთნისა და სამხედრო განათლების სარდლობა/ G-1 სამმართველოს უფროსის მომართვის საფუძველზე გაგზავნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში გასაწვევად შერჩეულ კანდიდატთა 15 პ/საქმე .

წლის განმავლობაში, ხდებოდა საქართველოს სერვისების განვითარების სააგენტოდან შემოსული წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მამრობითი სქესის პირთა სიების შედარება ანბანურ წიგნებთან, რომლებმაც გაიარეს რეგისტრაცია ან მოიხსნენ რეგისტრაციიდან და პირად მონაცემებში/სტატუსში მოხდა ცვლილება.

სამხედრო აღრიცხვის გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის საქმისწარმოებისას, დამუშავდა (დოკუმენტების რეგისტრაციაში გატარება, რეზოლუციისათვის მომზადება, ადრესატებისათვის გადაცემა) 237 განცხადება, 478 შემოსული წერილი, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს გაეგზავნა 664 წერილი.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში შემოსული დოკუმენტაცია დამუშავებულ იქნა ელექტრონულად, ასევე მომზადდა მერის 67 ბრძანების პროექტი, 3 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ბრძანების პროექტი, გაგზავნილ იქნა - 160 საფოსტო გზავნილი და შეიქმნა წვევამდელთა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის 60 - ოქმი.

2021 წლის I-II-III კვარტლის განმავლობაში პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილ იქნა სხვადასხვა წელს დაბადებული 266 მოქალაქე, გამწვევ კომიასიაზე გამოძახებული წვევამდელებიდან, საქართველოს შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში ჩაყვანილ იქნა 105 წვევამდელი, მათგან საქართველოს სამხედრო ძალებში გაწვეულ იქნა -26, დამატებით, სამედიცინო გამოკვლევაზე გაგზავნილ იქნა-6, სამხედრო სამსახურისთვის შეზღუდულად ვარგისად იქნა ცნობილი-81, უვარგისად სამხედრო სამსახურისთვის-6.

გამწვევი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, შეღავათი გაუფორმდა: 55 მღვდელმსახურს, 101-სტუდენტს, 38-მოსწავლეს, 16-დედისერთას, 13-ერთშვილიანს და 5-ორშვილიანს,84- ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გამოცხადებამდე.

პერიოდულად მიმდინარეობდა, პერსონალური უწყებების დარიგება ქალაქის ტერიტორიაზე და მუნიციპალიტეტის სოფლებში, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევ წვევამდელთა პირადი საქმეებისა და დოკუმენტების მომზადება, რეზერვში ჩასარიცხ მოქალაქეთა ბრძანების პროექტის მომზადება და რეზერვში ჩარიცხვა.

258 - წვევამდელის მასალები გადაეცა პოლიციას - ვინაიდან საცხოვრებელი რეგისტრაციის ადგილზე ვერ მოხერხდა დაუწყება .

24 მოქალაქეზე, გადაეცა მასალები პოლიციას - რადგან, ვერ ხერხდება მათი დაუწყება პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის მიზნით.

63 წვევამდელზე, გადაეცა მასალები სასამართლოს - ვინაიდან დაუწყების შემდეგ არ გამოცხადნენ გამწვევ კომისიაზე.

მოხსნილია სამხედრო აღრიცხვიდან საქართველოს სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით 60 გარდაცვლილი მოქალაქე, ასევე მოხსნილია და გადაყვანილია სამხედრო სპეც-აღრიცხვაზე-12, ხოლო საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის შეცვლასთან დაკავშირებით აყვანილია აღრიცხვაზე-19 მოქალაქე, ასევე გადაგზავნილია სხვადასხვა რეგიონებში რეგისტრაციის შეცვლასთან დაკავშირებით 7 მოქალაქე. სასამართლოებიდან შემოსული 52 განაჩენის ასლის შესახებ შესრულდა შესაბამისი ღონისძიებები, გაიცა რეზერვისტის დროებითი სამხედრო მოწმობა 42 რეზერვისტზე.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა G-1 სამმართველოდან მიღებულია 10 პირადი საქმე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე რეზერვში გადაირიცხა ზღვრული ასაკის (27 წლის) შესრულების გამო 145 მოქალაქე, ხოლო სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ 28 მოქალაქე

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წვრთნისა და სამხედრო განათლების სარდლობა/ G-1 სამმართველოს უფროსის მომართვის საფუძველზე გაგზავნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში გასაწვევად შერჩეულ კანდიდატთა 17 პ/საქმე .

კვარტლის განმავლობაში, ხდებოდა საქართველოს სერვისების განვითარების სააგენტოდან შემოსული წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მამრობითი სქესის პირთა სიების შედარება ანბანურ წიგნებთან, რომლებმაც გაიარეს რეგისტრაცია ან მოიხსნენ რეგისტრაციიდან და პირად მონაცემებში/სტატუსში მოხდა ცვლილება.

სამხედრო აღრიცხვის გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის საქმისწარმოებისას, დამუშავდა (დოკუმენტების რეგისტრაციაში გატარება, რეზოლუციისათვის მომზადება, ადრესატებისათვის გადაცემა) 213 განცხადება, 262 შემოსული წერილი, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს გაეგზავნა 464 წერილი.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში შემოსული დოკუმენტაცია დამუშავებულ იქნა ელექტრონულად, ასევე მომზადდა მერის 63 ბრძანების პროექტი, 4 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ბრძანების პროექტი, გაგზავნილ იქნა - 65 საფოსტო გზავნილი და შეიქმნა წვევამდელთა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის 49 - ოქმი.

სამსახურის უფროსი: გ.ჩაკვეტაძე

წერილის ნომერი:**49-49213292**
თარიღი: **25/11/2021**

**ადრესატი:**

მურმან შალამბერიძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-კომისიის თავმჯდომარე

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ მურმან შალამბერიძეს

ბატონო მურმან,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 11 ნოემბრის N09-482131531 წერილის საფუძველზე მოვამზადე განკარგულების პროექტი - ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2020 წლისა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ", რომელსაც წარმოგიდგენთ კომისიის სხდომაზე განხილვის მიზნით.

გელა თათარაშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ა პ ა რ ა ტ ი-იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილება-მეორე რანგის მეორადი სრტუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

391

## წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2020 წლისა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2020 წლისა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ანგარიში 2020 წლისა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2020 წლისა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

# წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის

## დ ა ს კ ვ ნ ა

**წყალტუბოს მუნიციპალიტერტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ 2021 წლის 26 ნოემბრის კომისიის სხდომაზე განიხილა ანგარიში - წყალტუბოს მუნიციპალიტერტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ წყალტუბოს მუნიციპალიტერტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობა შეაფასა დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი ანგარიში, რომელზედაც კანონმდებლობის შესაბამისად, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი, გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად (თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარე
მურმან შალამბერიძე